ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31223042**
თარიღი: **31/10/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილის ვლადიმერ ნანაძის 2021 წლის 3 დეკემბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის

ოქმი

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

სოფელი, თემი, დაბა: ლანჩხუთი.

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 30. 09. 2022 წელი 12:00 საათი.

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ მოადგილე **ვლადიმერ ნანაძე;** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ებრალიძე,** საკრებულოს წევრის ამომრჩევლები.

დეპუტატმა **ვლადიმერ ნანაძემ,** აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთერთი საპასუხისმგებლო ეტაპით რომელიც ითვალისწინებს საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ჩაბარებას. ასევე მან ისაუბრა ამომრჩეველთა პრობლემური საკითხების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე და ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. მან განაცხადა, რომ საანგარიშო პერიოდში შეხვედრები ჰქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან) რომელთა ძირითადი მოთხოვნები შეეხებოდა სოციალურ პრობლემებს და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, არაერთ მოქალაქეს გაეწია შუამდგომლობა მედიკამენტების, თუ სამკურნალო საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის ფარგლებში. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში აქტიურად მონაწილეობდა 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის პროცესში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად საკრებულოს დეპუტატმა **ვლადიმერ ნანაძემ** წარმოადგინა 2021 წლის 3 დეკემბრიდან დღემდე მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. მან აღნიშნა, რომ უფლებამოსილებას შეუდგა 2021 წ. 4 დეკემბერს. არის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე. ასვე საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის და საკრებულოს ეკონომიკის ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის წევრი.

დეპუტატმა ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე:

ქ. ლანჩხუთში დუმბაძის, წმ ნინოს, წულაძის, გოგიჩაიშვილის, მარჯანიშვილის, გვარჯალაძის, კუპრეიშვილის შესახვევის და ჭავჭავაძის ქუჩების რეაბილიტაცია,

მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, ჩხაიძის ქუჩაზე სტადიონის რეაბილიტაცია, გვარჯალაძის ქუჩაზე საცხოვრებელ ბინებთან სკვერის მოწყობა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის უკან ღობის მოწყობა, ებრალიძის ქუჩაზე საცხოვრებელი ბინის სადარბაზოს რეაბილიტაცია, ჟორდანიას ქუჩაზე საფეხმავლო ბილიკების მოწყობა, ყოფილი რედაქციის შენობაში ოთახების რეაბილიტაცია, განხორციელდა ცენტრალური სკვერის და ქალაქის ცენტრის იერსახის გუმჯობესება.

დეპუტატმა **ვლადიმერ ნანაძემ** ქალაქის მოსახლეობას მიმართა თხოვნით, რომ მოეწოდებინათ ინფორმაცია, როგორც ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული, ასევე პირადი პრობლემების შესახებ.

მოქალაქეებმა **ვლადიმერ კანდელაკმა და თამაზ თოფურიამ** აღნიშნა, რომ პროფესიული ტექნიკუმის მიმდებარედ, ყოფილი ჩაის ფაბრიკის ტერიტორია, გადატვირთულია სააქმენებლო ნაგავით და აუცილებელია მისი გატანა. თამარ მეფის ქუჩის მოსახლეობა ითხოვს ასფალტის საფარის დაგებას.

საკრებულოს დეპუტატმა **ვლადიმერ ნანაძემ** მოსახლეობას დაპირდნენ ამ პრობლემების შეძლებისდაგვარად მოგვარებას და მადლობა გადაუხადა თანადგომისთვის მოსახლეობას და საკრებულოს აპარატს თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

ვლადიმერ ნანაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" მოადგილე